

მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება



მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება სატრანსპორტო სფეროში, რომელიც შეძლებს ავტომობილების დიაგნოსტიკას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, მოდერნიზებასა და შეკეთებას.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ტექნიკოსად, ძრავას მექანიკოსად (საავტომობილო ტრანსპორტი), ძრავას მექანიკოსად (აგრარული ტექნიკა), ავტოსერვისის მექანიკოსად, ელექტრიკოსად, სავალი ნაწილის მექანიკოსად, დიაგნოსტიკოსად.

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება;
2. შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები;
3. დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები;
4. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები;
5. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით;
6. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.
7. მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია;
8. შეძლოს ბლოკ-სქემებისა და პრინციპული სქემების წაკითხვა-ანალიზი;
9. შეძლოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით;
10. შეძლოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია ავტობულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.
11. წაიკითხოს ელექტრონული ნახაზები;
12. გამოიყენოს სარჩილავი სადგური;
13. მოახდინოს საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი;
14. მოახდინოს ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრონული სისტემების სერვისი;
15. მოახდინოს ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემების სერვისი;
16. მოახდინოს უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი.

პროგრამის მოცულობა: 86 კრედიტი.

სწავლის ხანგრძლივობა: 16 თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს თეგეტა მოტორსი
2. შპს. ტოიოტას სერვის ცენტრი
3. ი/მ ავტო სერვის ნეტრი
4. შპს. გზა
5. სს ავტომობილისტი